



სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030201060170720

№ 02-46/ო

14 / იანვარი / 2020 წ.

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში ფარმაცევტული პროდუქტის რეკლამის ტექსტის წინასწარი შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 11³ მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №01-64/ნ ბრძანების მე-4 მუხლის „კ“ და „რ“ პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

- 1.დამტკიცდეს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში ფარმაცევტული პროდუქტის რეკლამის ტექსტის წინასწარი შეთანხმების წესი (დანართი №1);
- 2.დამტკიცდეს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთან შესათანხმებელი ფარმაცევტული პროდუქტის რეკლამის განაცხადის ფორმა (დანართი №2);
3. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს უზრუნველყოს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.rama.moh.gov.ge ბრძანების განთავსება;
- 4.ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის უფროსს.
- 5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი N64), მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში;
- 6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

ხელმოწერილია
შტამდასახულია
ელექტრონულად

ზაალ კაპანაძე